ხუთშაბათი, 25 ოქტომბ. 1907 წ.

ისარი

წელიწადი პირველი—№ 234

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ სიტყვერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან, ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვის მხოლოდ დიდი წერილები და მოსაზრებები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა სტამპილიანი კონვერტი. პირადად ადგილობრივ ადგილ ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 1—5 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ფასი 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

„ისრის" ქუთაისურ ხელის მომწერლების საყურადღებოდ.

აგერ წელიწადი გადის, მაგრამ წლიურ ხელის მომწერლების უმეტეს ნაწილს ხვედრი ფული არ აქვთ შემოტანილი: ზოგს ნახევარი წლის აქვს გადახდილი, ზოგს მესამედის და ზოგმაც, ისარგებლა რა კანტორის ნამეტანის ნდობით, წლიური ხვედრში სულაც არაფერი შემოუტანია.

მეათე თვე გადის, დღემდე კანტორას არავასათვის ამის გამო გაზეთი არ მოუსპია და დღესაც უხერხულად მიაჩნია გაზეთს შეჩვეულ მკითველს იგი ხელიდან გამოჰგლიჯოს ამ წლის მიწურულში. ამისათვის კანტორა ისევ გაზეთის საშუალებით მიჰმართავს და მოითხოვს, რომ ხელის მომწერლებმა თავიანთი ხვედრი ახლავე შემოიტანონ, რათა მასაც მიეცეს შეძლება რედაქციას თავის დროზე ანგარიშები გაუსწოროს. უმჯობესი იქნება, ანგარიშები რომ არ აირიოს, ფული თვით კანტორაში მიიტანონ.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი" (5—5)

გულით მწუხარე დედა **ბარბარე ევგენის ასული რცხილაძისა** შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 27 ღვინობისთვეს სოფელ შაშიანში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი უბედურ

მანანა რცხილაძე-ჭაბადრის

სულის მოსახსენებლად. (1—380—1)

ს. წესში (რაჭის მაზრა) დღეს, 25 ოქტომბერს, გარდახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის

დათიკო ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დედა და მამა. (1—381—1)

ძვლდელი **ბესარიონ იაკობის ძე და იაკობ სიმონის ძე ვაშაძეები** დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლის და მეორე—ძვირფას რძლის

ელ. საბედ (ივანე ელენკო) ჩიქვილაძის ასულის ვაშაძისას.

გამოსვენება დანიშნულია ამა 26 ოქტომბრის, თორმეტ საათისთვის მღვიმის წმ. ვარვარის ეკლესიის საგვარეულო სასაფლაოზედ. (2—ფ.—1)

27-ს ამა ოქტომბერს

ილია ჯავჯავაძის დაბადების მე-70 წლის თავზე

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში

წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გაიმართება

სალიტერატურო და სამუსიკო საღამო

მონაწილეობას ბიიღებენ: ქ ნნი: ე. გაბაშვილისა, დ. ერისთავი-განდეგილი, ნ. პრესინსკისა, ს. რომანიშვილისა, მ. ძნელაძისა და ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი: გ. ანანიაშვილი, ი. ევდოშვილი, იოს. ბარათაშვილი, ა. იმედაშვილი, არ. ლეისტი, ნ. კურდღელაშვილი, ს. მგალობლიშვილი, კ. მაყაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, ი. ტომაშევიჩი, ცხომელიძე და ფილარმ. საზოგადოების ხუროო ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში; 26 და 27 კი გაიყიდება არტისტ. საზოგადოების კასაში.

საღამო დაიწყება სრულ 8 საათზე.

განცხადება

ამითი ვუცხადებთ ტრაქტირებისა, დუქნებისა და ღვინის სავაჭრო სარდაფების გაფიცულ მოსამსახურეებს, რომ თანახმად საზოგადოების საერთო დადგენილებისა შემუშავებულია შემდეგი პირობები შესახებ დაქირავებისა და შენახვისა ზემომოხსენებულ მოსამსახურეებისა: 1. სამუშაო დღედ უნდა ითვლებოდეს თორმეტი საათი, რადგან ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში მოსამსახურეებს აქვთ ხანგრძლივი შესვენება; 2. მოსამსახურენი სრულიად თავისუფალნი არიან მუშაობისაგან შემდეგ დღეებში: ახალწელიწადს, წყალკურთხევას, აღდგომას, ამაღლებას და შობას; 3. დაქირავება და დათხოვნა მოსამსახურეებისა დამოკიდებულია დაწესებულების პატრონებზე; 4. მუშაობის დროს მოსამსახურენი მოვალენი არიან აღასრულონ თავიანთი ვალდებულება; გარდა ამისა პატრონს შეუძლიან თავის საქმისათვის გაჰგზავნოს მოსამსახურე სხვაგანაც, ანუ გაატანოს სხვაგან ათი ბოთლი ღვინო, ანუ სხვა რამე ნივთი ნახევარ ფუთამდე; 5. არც ერთ მოსამსახურეს არ შეუძლიან მუშაობის დროს ქარხანიდან წავიდეს სადმე პატრონის ნებადაურთველად; 6. თუ მოსამსახურემ ძალად, ანუ დაუდევრობით, დაჭკარგა ანუ გაფუჭა ავეჯი ანუ საქონელი, მოვალეა გადაიხადოს მთელი ღირებული ფასი; 7. როგორც პატრონების მხრიდან, ისე მოსამსახურეების მხრიდან აკრძალულია ძალმომრეობა. პატრონიც და მოსამსახურეც უნდა მოექცნენ ერთმანეთს ზრდილობიანად; 8. ჯამაგირის დანიშვნა შეთანხმებით. 9. ერთი წლის სამსახურის შემდეგ მოსამსახურეს შეუძლიან ისარგებლოს ორი კვირის დასვენებით; ამ ხნის განმავლობაში ჯამაგირი ეძლევა სრულად და ადგილიც ისევ იმაზე ითვლება; 10. ავადმყოფობის დროს (გარდა ვენერიულ ავადმყოფობისა) წამლობა ორი კვირის განმავლობაში პატრონის ხარჯით, ამასთან ჯამაგირიც უნდა ეძლიოს და ისევ ადგილზე ითვლებოდეს იმავე ხნის განმავლობაში; 11. ჯამაგირი უნდა მიიღონ მოსამსახურეებმა თვე-და-თვე, ყოველ თვის ბოლოს; 12. თუ მოსამსახურენი გაიფუჭენენ, პატრონს არ შეუძლიან გაფიცვის დროს შეინახოს გაფიცული, ან მისცეს ჯამაგირი, ან სადგომი. ამასთან პატრონი აძლევს სამი დღის ვადას მუშაობაზე დადგომისთვის; თუ ვადაზე არ დაადგება მუშაობას, პატრონის მიერ დათხოვნილი უნდა იყოს; 13. დაასაძინებელ ოთახს მოსამსახურეებს აძლევს პატრონი, თუ ამ გვარი ოთახი არის და თუ არა, მაშინ პატრონი აძლევს ოთახის ფულს, როგორც მორიგდებიან; 14. თუ პატრონი დაიკრა ან ჭრილობისაგან მოკვდა, ეს იქნება ბრალი მოსამსახურეებისა და პასუხს აგებენ წიხამე კანონისა; 15. ორ კვირაში ერთხელ მოსამსახურეებს ეძლევათ თითო აბაზი აბანოსთვის და პატრონი თვალს ადევნებს, რომ ეს ფული არ დახარჯოს სხვა საჭიროებაზე. ამასთან ზემოხსენებულ დადგენილებითვე გაძოეცხადებათ ეხლა გაფიცულ მოსამსახურეებს, რომ ამ განცხადების გაზეთში დაბეჭდვის დღიდან ეძლევათ საძი დღის ვადა მუშაობაზე დადგომისათვის და ამ ვადის გასვლის შემდეგ, ვინც არ დაიწყებს მუშაობას, ჩაითვლება როგორც თავის ნებით გასული და შეუძლიან მიიღოს ხვედრი ჯამაგირი, ხოლო პატრონს შეუძლიან დაიქირავოს სხვა მოსამსახურე. არავითარი მოლაპარაკება არ შეიძლება. (1—382—1)

შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭო

29 ოქტომბერს, დილის 11½ საათისთვის საბჭოს სადგომში ქუთაისს (პრინცესა მიურატის სახლი) იწვევს იმათ, ვისაც სურს იკისრონ:

1. შორაპნის მაზრის დაბა ჭიათურაში რიყის ქვით ქუჩების დაგება, ზომით 1250 ოთხ-კუთხ საჟენისა. ეს საქმე 6,000 მანეთამდეა;

2. იქვე სამრეწველო გზებზე ქვების მიტანა; საჭიროა 400 ოთხ-კუთხ საჟენამდე დამტვრეული კორნარევი ქვა და 250 ოთხ-კუთხ საჟენამდე დამტვრეული რიყის ქვა. სამუშაო 8,000 მანეთამდეა.

პირობების გასინჯვა შეიძლება საბჭოს სადგომში ქუთაისს და ჭიათურაში ყოველ დღე 9-დან 3 საათამდე.

საჯარო ვაჭრობა ყოველ საქმეზე ცალკე მოხდება.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა ვაჭრობის დაწყებამდე საბჭოს კასასში წარადგინოს ბე, რომელიც უნდა უდრიდეს საჯარო საქმის 10%-ს, ამასთან თუ საქმის ამღები უარს იტყვის საბჭოს მოთხოვნაზე და სამი დღის განმავლობაში საჯარო ვაჭრობის გათავების შემდეგ ხელს არ მოაწერს ფორმალურ ხელ-შეკრულებას, იმისი ბე საბჭოს სასარგებლოდ დარჩება.

საჯარო ვაჭრობა უნდა დამტკიცოს შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭომ, ამასთან საბჭოს უფლება აქვს ვაჭრობის დამტკიცების დროს მხედველობაში მიიღოს არა მარტო ფასი, არამედ კეთილ საიმედობა მოიჯარადრისა. (3—ნ.—3)

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—ნ.—27)

დოქტორი მედიცინისა

გ. გ. გურგენოვი

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა **გებდაიდა** გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო საბ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—11)

მქიმი

ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

მქიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

მქიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ქ. ქუთაისში

მქიმი ი. ი. ჩარქოლი

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს**. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უპერაციოდ **პროფ. ბიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—18)

მქიმი ქალი

ს. ზ. მირზოევისა

მიიღებს თვალებით ავთმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით 1½ - 2½ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—8)

კბილის მქიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

კბილის მქიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—207)

ქუთაისში

კბილის მქიმი ქალი

ე. დ. ნასარიძე

იღებს ავთმყოფებს მქიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ქუთაისში

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, მოითხოვოს ფირალოვის პაპიროსი

„სიმპატია" და „ინტელიგენტი",

რომელიც წმინდა „გრაინიკის" საუკეთესო პლანტაციების სუნელოვან თუთუნით არის შეზავებული და პროგრესიულად გაუჯობესებული.

(10—კვ—10) პატივისცემით **ძმ. ფირალოვები.**

მისაღები ეგზამენები

ტფილისის საბაღოსნო სკოლაში დანიშნულია 31 ოქტომბრიდან. (4—384—1)

თვალის მქიმი

ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და ს.ღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (30—345—7)

გამოვიდა

ახალი, მეთექვსმეტე გამოცემა

„ბუნების კარისა"

ბევრად შევსებული: გადიდებულია სალიტერატურო ნაწილი და ახლად ჩართულია ისტორიული განყოფილება, მთავარი ისტორიული პირების პორტრეტებით. იპყრობს 470 გვერდსა.

ფასი ისევ **სამი აბაზი** ყდით. (6—4)

ლაქიობა პუბლიცისტიკაში

როგორც უკვე ვთქვით,*) ბ-ნი ყარიბი ამ ბოლო დროს დაუბრუნდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ მწერლობას. დაუბრუნდა და მოვალეობად გაიხადა ყოველის უწინარეს ქართველ სოც.-ფედერალისტთა დამცირება, მათ შესახებ ათასი ჭორის მოგონება და სოციალ-დემოკრატიულ მიმართულების განდიდება, გუნდრუკის კმევა. ასე იქცევა ყოველთვის ახალი ცოცხი, როცა პირველად შეიტანენ მას სახლში. გადამეტებულის გულმოდგინებით ისე ფხოტნის, რომ თითონვე ტანში ერიამული დაუვლიდა, ნერვები რომ ჰქონდეს. ბ-ნი ყარიბიც ფხოტნის, ისე ერთგულად, ისე გულმოდგინეთ, რომ არა გვგონია მადლობა დაიმსახუროს თუნდ იმათგან, ვის სადიდებლადაც აწრიპინებს იგი თავის კალამს.

ასეთ პუბლიცისტთან სერიოზულ კამათის გამართვა, რა თქმა უნდა, კედელზე ცერცვის შეყრა იქნება. როგორ და რა ენაზე შეიძლება ეკამათოთ ისეთ მწერალს, რომელსაც თითონვე არა სჯერა თავისი სიტყვების სიმართლე, ხოლო თუ მაინც არახუნებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ახალ ბატონებისადმი თავისი ერთგულება გამოიჩინოს? როგორ შეიძლება სერიოზული პასუხი გაეცეს ისეთ მწერალს, რომელსაც არც ფაქტების შში და რიდი აქვს, არც ლოღიკის და არც სალიტერატურო ეთიკისა? ბ-ნი ყარიბი, მაგ., ბრძანებს: სოც.-ფედერალისტებმა ორჯელ წამოაყენეს ანდრონიკაშვილის კანდიდატურა, მაგრამ „ვიბორშჩიკათაც" ვერ გაიყვანეს; ხოლო რაც მათ ვერ მოახერხეს, ის მოიმოქმედეს მსხვილმა მემამულეებმა; ანდრონიკაშვილის „ვიბორშჩიკად" არჩევამ სიკვდილის გზაზე დამდგარი ფედერალისტები გამოაცოცხლა და გამქრალი იმედები კვლავ გაუღვიძა. ბ-ნმა ყარიბმა კარგად იცის, რომ ეხლანდელ არჩევნებში სოც.-ფედერალისტებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, იცის ისიც, რომ ამ არჩევნებს ს.-ფედერალისტები სრულიად გულცივად უცქეროდნენ, მაგრამ აძისდა მიუხედავად ძაინც გულთამტილაობს და ირწმუნება, ანდრონიკაშვილი არჩევით მოძაკვდავი. ფედერალისტები გამოკოცხლდენ და ასტეხეს განგაში, ეგაა სწორედ „საქართველოს მარილიო".

რა ძალა ადგა ბ-ნ ყარიბს, რომ ასე ღალატობს სიძართლეს? რისთვის არის საჭიროა ასეთი სიცრუე? უნებური შეცდომა ან გადაჭარბებულ გატაცებით გამოწვეული ტენდენციოსობა—კიდევ ჰო, მაგრამ აქ რომ არც ერთია და არც ძეორე! აქ რომ პირდაპირ შეგნებული სიცრუეა! ნუ თუ ისე ძლიერ სწყურია ბ-ნ ყარიბს ახალ „აიხანაგების" თვალში სახელია და პატივის დაძსახურება, რომ ყველას გასწრება დაუსახავს მიზნად სოც. ფედერალისტთა დაძცირებაში და ძიტომ უყოუებს გულს სიძართლესაც და ლოგიკასაც?..

ბ-ნ ყარიბის პუბლიცისტურ ეთიკის დასახასიათებლად ფრიად საინტერესოა ის „ორიოდე სიტყვა, რომელსაც თავის ფელეტონში უძღვნის იგი ტფილისში კაოგად ცნობილ ვექილს ი. ს. ჯ—ს. როგორც თითონ ყაოიაი ამბობს, ეძ ბატონს („ამოძრჩეველი იყო) თავისი. ხეა სოციალდემოკრატების კანდიდატისთვის მიუცია, ხოლო ბ-ნი ანდრონიკაშვილი კი დაუგია. ბ-ნი ყარიბი გვაუწყებს, ეს ი. ს. ჯ—ი. უბრალო ვინმე კი ნუ გგონიათ, იმან თავის სიცოცხლის საძი ძეოთხედი ციხეებსა და საპყრობილეში გაატარა, თავი ხალხის თავისუფლების საქმეს შესწირაო. მერე თქვენ გგონიათ, ბ-ნი ყარიბი უნებლიედ სცდება, არ იცის, რა პრინციპების (?) კაცია მისგან ხსენებული ი. ჯ—ი, არ იცის, რომ ციხეებსა და საპყრობილეში იგი ძირიან-ფესვიანა შეიცვალა, იმისი აჩრდილიც აღარ არის, რაც ციხეში მოხვედრამდე იყო? თუ გგონიათ, ბ-ნმა ყარიბმა არ იცის, რომ ეს ბატონი ეხლა ყოველ პოლიტიკურ რადიკალიზმს შორს გაურბის და ახლოდ იმიტომ უკრავს ტაშს ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომ ეს უკანასკნელნი ოქტომბრისტებთან და შავრაზმელეთან ერთად სახელმწიფოებრივ ცენტრალიზმის მცველები არიან?—კაოგად იცის, დიახ, ძალიან კარგად, ძაგრამ რას დაგიდევთ! ბ-ნძა ჯ—მა სოციალდემოკრატების კანდიდატს თეთრი კენჭი მისცა, მაშაადამე იძას ქება შეეფეროისო, ფიქრობს ბ-ნი ყარიბი და სთხზავს საგალობელს. უგალობეთ, ბ-ნო ყარიბო, უგალობეთ, მხოლოდ ნუ გაგიკვირდებათ, თუ არც თვით ბ. ჯ—ი დაგრჩებათ მადლიერი და არც თქვენი „ახალი ამხანაგები".

„ქართველ ფედერალისტების მიერ სოციალ-დემოკრატიის საწინააღმდეგო მთელი არსენალიო, სწერს ბ-ი ყარიბი, სულ ორ სიტყვაში გამოიხატება—ქართული ენა და ძმული!

ვინ მოგახსენათ, ბ-ნო ყარიბო! გძინავთ—თუ? ტყუილა იკატუნებთ თავს. ვიცით, კარგად ვიცით, რომ ცოტა რამ პოლიტიკარიზაციისაც გახსოვთ, ცოტა რამ კონცეტრაციისაც, ცოტა რამ დიქტატურისაც, ცოტა რამ ნაძალადევი ცენტრალიზაციისაც, ცოტა რამ შეგნების კედლით თვითმპყრობელობის დანგრევისაც, ცოტა რამ კუპის ფილოსოფიისაც და ცოტა რამ კიდევ ბევრი სხვა საკითხისაც, მაგრამ... აბა, რა საჭიროა ყველა ამის გახსენება, განა უფრო ადვილი არ იქნება სოც.-ფედერალისტებს თავზე კაკალი დაამტვრიოთ, თუ უთანხმოების ყოველ ძარღვს განძრახ დაივიწყებთ და

*) იხ, „ისარი" № 233.

ისეთ საგანს გამოიტანთ, ვითომ როგორც პრინციპიალურ სხვადასხვაობის საფუძველს, რომელზედაც არასოდეს ქართველ სოც.-დემოკრატებს და სოც.-ფედერალისტებს დავა არა ჰქონიათ.

ბ-ნ ყარიბის თქმით, სოც.-დემოკრატების და ს.-ფედერალისტების შუა სადავო ყოფილა ენისა და მამულის სიყვარული, არც მეტი, არც ნაკლები. თურმე სოც.-ფედერალისტები ამბობენ, ჩვენ ქართული ენა და მამული გვიყვარსო, და უკიცინებენ ს.-დემოკრატებს, თქვენ არც ერთის სიყვარული არა გაქვთო; ნამდვილად კი სოციალ-დემოკრატებს ფედერალისტებზე მეტად თურმე უყვართ, როგორც ბ-ნი ყარიბი ირწმუნება, ქართული ენაც და მამულიც. გამოდის, რომ ეს პარტიული დავა და ბრძოლა ყოფილა ჩხუბი არაფერზე.

პუბლიცისტი თუ გნებავთ, ყარიბისთანა ინატრეთ. საკვირველი მხოლოდ ისაა, რატომ ბ-ნი ყარიბი მამულიშვილურ საქმეს არ იზამს და არაფერზე მოჩხუბართ ხელად არ შეარიგებს. რატომ და იმიტომ, რომ ბ-ნმა ყარიბმა კარგად იცის, რომ სოციალ-დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტების ბრძოლას მეტად ღრმა საფუძველი აქვს და არა ის ბავშვური კინკლაობა, რომელზედაც შემჯდარა ჩვენი პუბლიცისტი.

მართალია, ნაციონალური ანუ ეროვნული საკითხი დიდად განასხვავებს სოციალ-დემოკრატების აზროვნებას ს.-ფედერალისტებისაგან, მაგრამ ნაციონალური საკითხი და ენისა და მამულის სიყვარული ერთი და იგივე არაა. ჩვენ არ გვახსოვს, რომ ქართველ სოც.-დემოკრატებს ეთქვათ, ქართული ენა და მამული არ გვიყვარსო, და აბა ამ სიყვარულის უქონლობაზე როგორ წამოედავებოდნენ მათ ს.-ფედერალისტები. ჩვენ ვიცით, რომ ეროვნულ საკითხის ნიადაგზე სწარმოებს გაუთავებელი დავა იმის შესახებ, თუ რამდენად მისაღები და აუცილებელია ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია ქართველ ხალხისათვის, ვიცით, რომ ავტონომია ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს ჭირივით სძულთ, მაგრამ განა ბ-ნმა ყარიბმა კი არ იცის, რომ ავტონომიაზე დავა სხვა არის და ეროვნულ სიყვარულზე კიდევ სხვა? დიაღ, იცის, კარგად იცის, მაგრამ... თავს იკატუნებს, ვითომ იმის საჩვენებლად, რომ ნახეთ, რა ტუტუცები და ბრიყვები არიან სოც.-ფედერალისტები, ნახეთ, რაზე გვედავებიან და რა ცილს გვწამებენო.

დაახურდავა რა ბ-ნმა ყარიბმა ნაციონალური საკითხი ენისა და მამულის სიყვარულზე, მოჰყოლია და სერიოზულად გვიმტკიცებს იგი, ქართველი სოციალ-დემოკრატი ქართულად ლაპარაკობს, მაშასადამე უყვარს და სწამს ქართული ენაო. გურიაში ხომ ქართულად ლაპარაკობენ და მაშასადამე ხომ უყვართ და სწამთ კიდეც გურულებს ქართული ენა, ბ-ნო ყარიბო? მაშ როგორ მოხდა, რომ 1904 წელს გურულები საქვეყნოდ უცხადებდნენ სულთან-კრიმ-გირეის, სკოლა აუცილებლივ გვინდა, ხოლო ქართულად იქნება ამ სკოლაში სწავლება, თუ რუსულად—ეს ჩვენთვის სულ ერთიაო? გიძნელდებათ განა ამ ფაქტის ახსნა? ჩვენ კიდევ ბევრი სხვა ამაზედ უფრო მქევრმეტყველი ფაქტი ვიცით. აი, მაგალითად, შარშან სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციისაგან ქართველი მუშები თხოულობდნენ, რუსულად გვასწავლეთ, ქართული არ გვინდაო. ეს მუშებიც და ეს გურულებიც სოციალ-დემოკრატიულ აზროვნების ნიადაგზე არიან აღზრდილნი, მათი მოთხოვნაც ქართული სოციალ-დემოკრატობის გამოხატულებაა. ამისდა მიუხედავად ვერავინ ვერ იტყვის, რომ ქართველ გლეხს და ქართველ მუშას შეიძლებოდეს სამშობლო ქართული ენა არ უყვარდეს და უცხო რუსული ენა კი უყვარდეს.

აბა სცადეთ, ბ-ნო ყარიბო, და ანგარიში გაუწიეთ ამ ფაქტებს, თუ ძალა შეგწევთ. რა თქმა უნდა, თქვენთვის ასეთი ფაქტები შეუგნებელია და ამიტომ თვით ფაქტებს უარჰყოფთ. მაგრამ პუბლიცისტის დანიშნულება ფაქტების უარყოფა კი არა, ფაქტების ახსნაა. რაც თქვენთვის შეუგნებული და აუხსნელია, ეს ჩვენ სულ ადვილად გვესმის. გვესმის იმიტომ, რომ თქვენსავით არა ვბუტბუტებთ: ქართველი კაცი ქართულად ლაპარაკობს, მაშასადამე ქართული ენა უყვარს და სწამსო. ლაპარაკი და სიყვარული არც აუცილებლად ერთი-ერთმანეთს იგულისხმებენ, არც აუცილებლად ერთი-ერთმანეთისაგან წარმოსდგებიან. ქართული ენის მოყვარული აუცილებლად ის კი არაა, ვინც ქართულად ლაპარაკობს, არამედ ის, ვისაც ქართველი ერი კულტურულ მთლიანობად, კულტურულ ერთეულად მიაჩნია, თავის თავს ამ ერთეულის ნაწილად სთვლის და ამ ერთეულის განვითარება სწადიან. ქართველ სოც.-დემოკრატებს სწორედ ეს ეროვნული კულტურის მთლიანობა ვერ დაგინახავთ, ან უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ ამ მთლიანობის დარღვევა მიგაჩნიათ იდეალად. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეროვნულ-კულტურულ მთლიანობის დევნა მიგაჩნიათ კლასთა ბრძოლის გამოხატულებად, იმისი დარღვევა წარმოგიდგენიათ სოციალისტურ თვითშეგნების ერთად ერთ გზად. აი, ესაა თქვენი ძირითადი უკულმაროობა, აი, აქედან წარმოსდგება თქვენ მიერ ფეხ-ქვეშ გაგდება და გასრესა ყველაფრის, რისაც კი ეროვნულ კულტურის ბეჭედი აზის; აი, აქედან წარმოიშობება თქვენ მიერ ეროვნულ საკითხების აბუჩად აგდება. მიხვდით, ბ-ნო ყარიბო, რა განსხვავება ყოფილა ჩვენსა და სოციალდემოკრატებ შორის ეროვნულ საკითხში? მიჰხვდით, ბ-ნო ყარიბო, რომ აქ ქართულ ენაზე ლაპარაკი და ამ ფაქტიდან დასკვნილი ვითომ სიყვარული ქართული ენისა არაფერ შუაშია? მიჰხვდით, ბ-ნო ყარიბო, რომ გურულები და ტფილისის ქართველ მუშათა ერთი ჯგუფი სწორედ ისე იქცეოდნენ, როგორც ქართველ სოციალ-დემოკრატს შეჰფერის, როცა ითხოვდნენ, სკოლა მოგვეცით და გვასწავლეთ, მაგრამ არა სამშობლო ენაზეო?

მაგრამ რისთვის ვეკითხებით ბ-ნს ყარიბს? განა თითონ კი არ იცის, რომ სოც.-დემოკრატებს და ს.-ფედერალისტებს შუა სადავო ქართული ენის სიყვარული არ არის? იცის, კარგად იცის, მაგრამ მაინც ამ სიყვარულზე ლაპარაკობს.

რატომ? რა მიზეზია?—რა და ის, რომ ბ-ნს ყარიბს სოც.-ფედერალისტთა ლანძღვა-თრევაში ყველა „ამხანაგების“ წინ გასწორება და მით ახალს წრეში სახელის და დიდების მოხვეჭა სწადიან. ივარჯიშეთ, ბ-ნო ყარიბო, რამდენიც გნებავთ, მაგრამ გახსოვდეთ კი, რომ ქარის მოტანილს დიდებას ქარივე გაგიფანტავთ.

ახალი ამბავი

✦ ნავთი ნავთლუხში. როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, ამ რამდენისამე ხნის წინად ქალაქის გამგეობამ მარქაროვს იჯარით მისცა ნავთლღში რამდენიმე დესეტინა ადგილი იმ პირობით, რომ იქ მანქანები დაედგა და შესდგომოდა გამოკვლევას—არის თუ არა ნავთი. როგორც გავიგეთ, გუშინ ნავთი აღმოჩენილა. გამგეობის წევრი ბ-ნი ხატისოვი და ტეხნიკოსები გუშინვე წავიდნენ ნავთლუხს.

✦ სოფლის დაჯარიმება. ტფ. გენ.-გუბერნატორმა სამ-სამი მანეთით დააჯარიმა სოფ. საკირეს (ახალქალ. მაზ.). მცხოვრებნი. აბრალებენ ავაზაკების შენახვას.

✦ სამხედრო სამართალში მისცეს. ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო სამართალში მისცეს ესტატე კორაშვილი, ბაგრატა ხუციშვილი, გიგო კახნიაშვილი და ნიკა ედიშერაშვილი, რომელთაც ჰბრალდებათ მოკვლა შინდისის მამასახლისის საბანაძისა, მწერლის ტატიშვილისა, მისი შვილის ივანესი, იასონ ფავლენიშვილისა და ბევრი სხვა ბოროტ-მოქმედება.

✦ ქალაქის თავი და გამგეობის წევრი. როგორც აღვნიშნეთ, ხმოსანთა უმცირესობამ წამოაყენა კანდიდატურა ხმოსან ალ. მ. არგუთინსკისა. რადგან არგუთინსკიმ უარი განაცხადა, რჩება ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. თუ ჩერქეზიშვილი ქალაქის თავად აირჩიეს, გათავისუფლდება გამგეობის წევრის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე დასახელებულია ორი კანდიდატი: ქალაქის მდივანი სტ. თ. ჭრელაშვილი და სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი გ. ნ. სტეფნოვი.

✦ საიჯარო გადასახადი. საიჯარო მიწების შესყიდვის მოლოდინში ნაძალადეველებს ეს სამი წელიწადია ქალაქის კასაში არ შეეტანიათ საიჯარო ფული. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ქალაქის საბჭომ თანხმობა განაცხადა ნაძალადეველთა მიერ მიწების შესყიდვაზე, მაგრამ საქმე ჭიანურდება. ეხლა დაევალა აგენტებს, გადაახდევინონ ნაძალადეველთ საიჯარო გადასახადი.

✦ ქართული წარმოდგენა. 23 ოქტომბერს საარტისტო საზოგადოების თეატრში ქართულმა დასმა წარმოადგინა იუშკევიჩის პიესა „ქალაქში“, თარ. ვლ. ცაგარლისა. წარმოდგენამ ურიგოდ არ ჩაიარა. დაწვრილებით ხვალ.

✦ თავისუფალი ადგილი არ არის. ტფ. ფარმაცევტები ატყობინებენ სხვა ქალაქებში მყოფ ფარმაცევტებს, ადგილისთვის არ ჩამოვიდნენ, რადგან ტფილისის არც ერთ აფთიაქში თავისუფალი ადგილი არ არის.

✦ ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით სპარსეთში იგზავნება სპარსეთის ქვეშევრდომი ალაკერ-კული-ოღლი სადიყოვი; ტფ. გუბერნიასა და ზაქათლის ოლქში ცხოვრება აეკრძალათ მამიკონ ბაღდასაროვს, კონსტ. ტატიშვილსა და ფირუზა სუხიტაშვილს; სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის 25 მანეთით დაჯარიმებულ იქმნა გამგე ქუთაისის ბანკის მამულებისა თავ. ალ. ერისთავი, 100 მანეთით დაჯარიმებულ იქმნა ნ. ცვეროვი.

✦ ანდერძი. 1900 წელს ტფილისში გარდაცვალებულმა პარუჩიკმა ამირალოვმა ქალაქ ტფილისს უანდერძა 14,500 მან. იმ პირობით, რომ ორას მანეთიანი სტიპენტიანტები დაენიშნათ სახელოსნო სასწავლებელში. ამ დღეებში სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ამირალოვის ანდერძი ტფ. ოლქის სასამართლომ დაამტკიცა და შეგიძლიანთ შეუდგეთ განხორციელებასო. აღნიშნულ თანხის სარგებელი ამ ჟამად 3000 მანეთს უდრის.

✦ 28 ოქტომბერს, შუადღის 12 საათისთვის, დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის ახლად დაარსებულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის „მურავეინიკისა.“ კრება გაიცნობს დამტკიცებულ წესდებას და ამოირჩევს გამგეობისა და საჩვენიზო კომისიის წევრებს. საზოგადოების წარმომადგენელმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, დაეთმოს კრებისათვის საბჭოს დარბაზი.

✦ კარგი იქნება, თუ ქველ მოქმედები ყურადღებას მიაქცევენ გაჭირვებულ ოჯახს დარია შახპაროვისას. მისი ქმარი ჩრდილოეთ გუბერნიაშია გადასახლებული. სამი შვილი ჰყავს და სახსარი ცხოვრებისა კი არა გააჩნიათ რა. ადრესი- წყნეთის ქუჩა, № 29, სახლი ვანო შაქრაშვილისა.

✦ 22 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე, ვორონცოვის ძეგლთან პოლიციელებმა დაეპატიმრეს უცნობი კაცი, რომელსაც აღმოაჩნდა რევოლვერი. უცნობი აღმოჩნდა ათანასე არჩვაძე. დაპატიმრებული საკომენდანტო სამმართველოში გაგზავნეს.

✦ 23 ოქტომბერს ფალავანდიშვილის ქუჩაზე მცხოვრებ იაკობ მამაციშვილს გულში დანა დაუკრავს და თავი დაუტრია. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ჩვენის გაზეთის ახალ ამბავში რკინის გზის იურისკონსულტის დანიშვნის შესახებ შეცდომა გაგვეპარა: იურისკონსულტად დანიშნეს არა ილია ზურაბიშვილი, არამედ ბ-ნი ივანე ზურაბიშვილი.

ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ წერა-კითხვის საზოგადოების მოწოდება ილიას ფონდის დაარსების შესახებ განიხილა მრეწველთა საბჭომ და გადასწყვიტა, მოახსენოს იგი მრეწველთა მომავალ ჩვეულებრივ კრებას.

✦ იაფ სასადილოების საერთო გამგეობა და მეთვალყურეობა მრეწველთა საბჭოს მიერ გადაეცა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგს კიტა აბაშიძეს. შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებს მიეცათ ორი თვის ჯამაგირი, თუმცა მრეწველთა კრებას ეს ხარჯი სახეში არა ჰქონდა მიღებული. ამასთან საბჭომ გადასწყვიტა, სასადილოები დახუროს იმ შემთხვევაში, თუ სასადილოები უფრო მეტ ხარჯს მოითხოვს, ვიდრე გადადებულია.

✦ ჭიათურაში დაარსებულ ქალთა სკოლას მრეწველთა საბჭომ იმ სუბსიდიიდან, რომელიც მრეწველთა კრებამ დაუნიშნა, უკვე გადასცა 750 მანეთი. ამ ფულიდან ერთი ნაწილი უნდა გადაიღოს უღარიბეს მოსწავლეთა დასახმარებლად და მეორე მასწავლებლებს უნდა მიეცეს ჯამაგირად.

✦ ქუთაისის თეატრის ამხანაგობამ დაასრულა ერთი თვე თავის მოქმედებისა და, როგორც ანგარიშიდან აღმოჩნდა, ამხანაგობის პირველ კატეგორიის წევრთ მიღებიათ 69 მანეთი, ხოლო მეორ სასნნ მანეთი.

ლ ო კ ა ლ ი

—

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია განცხადება ტრაქტირებისა და სარდაფების პატრონთა კავშირისა. დღემდის კაპიტალსა და შრომის შორის ბრძოლის დროს პატრონები დაქსაქსულად მოქმედებდენ, ეხლა კი, როცა იგემეს ძალა ორგანიზაციისა, იმათაც შეადგინეს კავშირი და ეხლავე გამოიჩინეს საოცარი აპილპილება და სიცხარე. ხანგრძლივ მუშაობისა და ბრძოლის შემდეგ მუშებმა და ნოქრებმა ხელთ იგდეს ბრძოლის ასპარეზი და თვითონ უკარნახებდნენ პატრონებს შრომის პირობებს, ეხლა კი პატრონების კავშირს ერთი ხელის დაკვრით სურს ბრძოლის ველის დაბრუნება და ულტიმატუმებით აპირებს შრომის პირობების მოწესრიგებას. გაფიცულ ნოქრებს კავშირმა თავისი პირობები წარუდგინა და განაცხადა, ან სავსებით დაგვემორჩილეთ, ან სამუშაოზე ხელი აიღეთო. ბოლოში ისიც კი არის ნათქვამი, რომ მოლაპარაკება არ შეიძლებაო. ამ რიგად, კავშირმა უარჰყო მორიგება და საკითხის გადაწყვეტა დათმობით ან სამედიატორო სამართლით. აღვნიშნავთ აგრეთვე ერთ სასაცილოსა და რამდენიმე სასტიკ პირობას. კავშირმა სახელმწიფო კანონმდებლობა იკისრა და დაადგინა: „თუ პატრონი დაიჭრა ან მოკლულ იქმნა, პასუხს აგებენ კანონის წინაშე მოსამსახურენი“. ეს სასაცილო კანონმდებლობა ეპატიებათ განცხადების ავტორებს, რადგან მათთვის კანონმდებლობა ჯერ არავის არ ჩაუბარებია, მაგრამ არ ეპატიებათ შემდეგი სასასტიკე: „სამუშაოდღე უდრის 12 საათს. (მუხ. 1) „გაფიცვის დროს პატრონს **უფლება არა აქვს** (?!) გაფიცულებს ჯამაგირი და ბინა მისცეს. თუ სამი დღის განმავლობაში გაფიცულები მუშაობას არ შეუდგებიან, ისინი დათხოვნილ უნდა იქმნენ“.

კავშირს უღალატნია გონიერებისთვის, მაგრამ რეალური ძალა არას დროს არ ღალატობს გონიერებას. ამიტომ საქმის გამწვავება და განზრახ ბრძოლის გაღვიძება ისევ თვითონ პატრონებს მოუტანს ზარალს. მ.

ტფ. ქალაქის საბჭო

23 ოქტომბერი.

ამ საღამოს თითქმის მთელი საბჭო შეიკრიბა. მრავლად დაესწრო აგრეთვე გარეშე ხალხი. მიზეზი ალბად ის იყო, რომ ამ საღამოს საბჭოს უნდა განეხილა ბეითალის ვართანიანცის საჩივარი ქალაქის გამგეობაზე.

სხდომა პირდაპირ ვართანიანცის შესახებ მოხსენების განხილვას შეუდგა. მოხსენება საბჭოს წარუდგინა გამგეობის წევრმა არგუთინსკიმ. როგორც მოხსენებიდანა სჩანს, ვართანიანცის დათხოვნა გამოუწვევია შემდეგ გარემოებას.

ქალაქის საყასბოს გამგებლობა ბოლოს ხანებში ჩაბარდა ბეითლებისაგან შემდგარ კოლეგიას. ბეითლები მორიგეობით ადევნებდნენ თვალყურს საქმეთა მიმდინარეობას. ამას წინად, ვართანიაცის საყასბოში ყოფნის დროს, მეხორცეებს გამოუტანიათ გაუსინჯავ-შეუმოწმებელი ხორცი და ამასთან ამ საღამოს მთელი შემოსავალიც დაუკარგავს ქალაქის კასას, რადგან უპატრონობისა და უყურადღებობის გამო მესაკლავეებს დაწესებული გადასახადი არ გადაუხდიათ. გარდა ამისა სხვა მიზეზებსაც საბაბი მიუცია ქალაქის გამგეობისათვის, რომ შესდგომოდა საყასბოს მდგომარეობის გაცნობას, თუ რა მიზეზები იწვევს ასეთ არა ნორმალურ შედეგებს. საქმის შესწავლას შესდგომია გამგეობის წევრი ნ. ე. არგუთინსკი, რომელსაც მეტად ცუდ მდგომარეობაში აღმოუჩენია საყასბოს საქმეები. მოსამსახურეთა შორის გამწვავებულ ურთიერთობას ისე აურევია, საქმე საყასბოში, რომ ყველაფერი ღვთის ანაბარა მიუტოვებიათ. ბეითლები ერთმანეთს ეკინკლაობდნენ, დანარჩენი მოსამსახურენი უფროსად ეკიდებოდნენ საქმეს. საყასბო ბინძურად ინახებოდა, ხშირად ხორცი შეიმჩნეოდა გაჭირდათ, წყლის მილი გაოხრებულა, ბეითლები მთელი კვირაობით საქმეზე არ დაიარებოდნენ; ერთი სიტყვით, სრული დეზორგანიზაცია მომხდარა საყასბოში. ფანჯრები საყასბოსი ბავშვებს ქვებით ულეწიათ და უმტვრევიათ. საყასბოს საქმეების ასეთ აწეწ-დაწეწაში, არღუთინსკის აზრით, ბრალი ედება საყასბოს ადმინისტრაციას და უმთავრესად ექიმ ვართანიანცს, რომელიც გამგე იყო. როცა გამგეობას ასეთი მდგომარეობა გაუცვნია, ბეითალი ვართანიანცი თანამდებობიდან გადაუყენებია; იმისთვის ჩაუბარებია საქონლის ბაკის მეთვალყურეობა, ხოლო დანარჩენი ბეითლები გაუფრთხილებია მეტის ყურადღებით მოჰკიდებოდნენ საქმეს. ვართანიანცი თანახმა არ გამხდარა გამგეობის ამ დადგენილებისა. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, მან გაზეთით სამედიატორო სამართალში გამოიწვია მთელი გამგეობა. ვართანიანცი თავის წერილში ამბობდა: გამგეობას თუ მოქალაქობრივი გამბედაობა აქვს, უნდა გამოვიდეს სამედიატორო სამართალში და იქ დაუმტკიცებ, რამდენად უსამართლოდ მომექცა იგი. გამგეობამ ასეთ საქციელისათვის ვართანიანცს წინადადება მისცა, სამსახურიდან გასულიყო. ამაზე ვართანიანცმა საჩივრის ქაღალდი შეიტანა საბჭოში. ვართანიანცი თავის საჩივარში გამგეობის მოქმედებას თვითნებურს უწოდებს და დაწვრილებით აცნობს საბჭოს საქმის ვითარებას, ამასთან სთხოვს გააუქმოს გამგეობის დადგენილება და ამით მომჩივანს ნდობა გამოუცხადოს. თუ ამას არ შეიწყნარებს საბჭო, მაშინ ორის წლის ჯამაგირი მომეცითო.

ჯერ მოხსენების კითხვა არ გაეთავებინათ, რომ ხმ. ა. მ. არგუთინსკიმ სიტყვა მოითხოვა და განაცხადა: ვგ საქმე საჩივარია გამგეობაზე და ამიტომ შეუძლებელია მაგ საქმეზე მსჯელობა ვიქონიოთ თქვენი მოხსენებითა და თავმჯდომარეობით; ამიტომ საქმის გარჩევა გადავდოთ მანამდე, სანამ მაგისთანა შემთხვევებისათვის ამორჩეულს თავმჯდომარეს გუბერნატორი დაამტკიცებს, ხოლო თვით საქმის ყოველ მხრივ შესწავლა და მოხსენების წარმოდგენა დავავალოთ განსაკუთრებულ კომისიასაო.

ხმოსან არგუთინსკის მიემხრნენ სხვებიც. თავმჯდომარემ საბჭოს აცნობა, რომ თავმჯდომარეობა მას მანამდე შეუძლიან, ვიდრე საბჭოს საჩივრის არსებითად განხილვას შეუდგება. ეხლა გაგაცნობთ საქმის ვითარებას და თუ გადასწყვიტეთ, რომ საბჭო საჩივარს არსებითად განიხილავს, საქმეს გადავდებთ შემდეგისათვისაო.

თუმცა ამ საკითხზე ბევრმა მოინდომა ლაპარაკი, მაგრამ თავმჯდომარემ ჰომხსენებელს ნ. ე. არღუთინსკის წინადადება მისცა განეგრძო მოხსენების კითხვა. გამგეობის წევრმა გააცნო ხმოსნებს იურისკონსულტის მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ. იურისკონსულტის აზრით, საჩივრის არსებითად განხილვა საბჭოს არ შეუძლიან, რადგან მოხელეს მიწვევა თუ დათხოვნა გამგეობის საქმეაო.

ვართანიანცს მეორე განცხადება შეუტანია საბჭოში, იგი იურისკონსულტს არ ეთანხმება. სხვათა შორის ბ-ნ ვართანიანცს მოჰყავს ერთი მაგალითი: მოსამსახურე ჩიტაშვილს სამედიატორო სამართალში გაუწვევია ქალაქის თავი თავ. ჩერქეზიშვილი და მოსამართლედ ვართანიანცი ყოფილა.

თავ. ჩერქეზიშვილი. ვართანიაცის განცხადება სიმართლეს მოკლებულია: ჩიტაშვილს მე სამართალში არ გაუწვევივარ და არც ვართანიანცი გვყოლია მსაჯულად.

მესამე განცხადებით ვართანიანცს მოუთხოვნია, ჩემი საქმე ახალს ხმოსნებს ადეკით განსახილველადაო.

რადგან ვართანიანცი 1 ოქტომბრამდე სამსახურიდან არ გასულა, იგი გამგეობას დაუთხოვნია.

საბჭოს სხდომას ბ-ნი ვართანიანციც დაესწრო და თავმჯდომარეს სთხოვა, სიტყვის ნება მომეცით. ვართანიანცმა უცნაური სიტყვა წარმოსთქვა. მან განაცხა-

და: მართალია, მე საბჭოს მივმართე ჩემის საქმის გასარჩევად, მაგრამ რომ მიდგომას აქ ადგილი არა ჰქონდეს, მინდა აღვნიშნო შემდეგი გარემოება: მე საბჭოში ბევრი მტერი მყავს. აქ არიან როგორც პირადი, ისე პოლიტიკური ჩემი მტრები, ამიტომ ვშიშობ, მიუდგომლობას ადგილი არ ექნესო. (დარბაზში აღელვების ხმები გაისმა). მაგ. ხმ. ბაბალოვი, თოფჩიანი და სხვანი.

ზეზე წამოდგნენ გამგეობის წევრი კოკჩაევი, ხმოსანი ონესიანცი და სხვები, პროტესტს აცხადებენ და სიტყვას აწყვეტინებენ ვართანიანცს. ისეთი ხმაურობა ასტყდა, რომ კაცი ვერ გაიგებდა, ვინ რას ამბობდა. ქანდარიდან ზოგიერთებმა ტაში დაჰკრეს. თავმჯდომარემ სთხოვა გარეშეთ გაჩუმებულიყვნენ.

ვართანიანცმა შემდეგ აღნიშნა, რომ ხმ. თოფჩიანის რედაქციაში მე ბარათი მივიტანე, მაგ ცრუ ცნობის გასაბათილებლად, მაგრამ მან არ დაბეჭდა. ამის შემდეგ საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ ეს ხმოსანი და მისი ამხანაგები ჩემზე კარგს არას იტყვიანო.

ხმ. სარიანი. კარგი იქნება, ვართანიანცმა დაგვისახელოს ის ხმოსნები, რომელთაც, როგორც მტრებმა, მაგის საქმის შესახებ არ უნდა ილაპარაკონ.

თავმჯდომარე. საკვირველია მომჩივნის ვართანიანცის განცხადება. არ მესმის, ვინ უნდა გაარჩიოს მაგისი საჩივარი: საბჭოში თუ სჩივის, უნდობლობას რაღაზე აცხადებს. თუ ასე იყო, სულაც არ უნდა შემოეტანა საჩივარი, რომ საბჭოში გყავთ პოლიტიკური და პირადი მტრები, გამგეობას არ ენდობით, უნდობლობას უცხადებთ სარევიზიო კომისიასაც, თოფჩიანმა წერილი არ დაგიბეჭდათ... გამოდის, რომ მთელი საბჭო თქვენ წინააღმდეგ იმოქმედებს. არ მესმის, ვიღას ანდობთ განსახილველად საქმეს (სიცილია დარბაზში).

შემდეგ თავმჯდომარემ დააყენა შემდეგი საკითხი. საბჭომ საკითხი არსებითად უნდა განიხილოს თუ არა. თუ ვინიცობაა პირველი წინადადება მიიღო საბჭომ, მაშინ საკითხის არსებითად განხილვას შემდეგ დროისთვის გადავდებთ.

გაიმართა კამათი. ხმ. ჯაფარიძემ სთქვა, ყველას უნდა მიეცეს უფლება საჩივრისა, რომ სიმართლე გამოირკვეს, ამიტომ ვართანოვის საჩივარიც უნდა განვიხილოთ, მხოლოდ საქმე კომისიას გადავცეთო. ხატისოვმა პროტესტი განაცხადა იმ ხმოსნების განცხადების გამო, რომელთაც საკითხის გადაცემა კომისიაში მოისურვეს. განუხილველად საქმის გადაცემა კომისიაში დიდს დეზორგანიზაციას შემოიტანს. თუ საბჭო საქმის არსებითად განხილვის მოინდომებს, უნდა გადაიდოს იმ ვადამდე, ვიდრე თავმჯდომარედ ლუნკევიჩს დაამტკიცებენ. ხმ. ვერმიშევი დაეთანხმა არგუთინსკის მოსაზრებას საქმის კომისიაში გადაცემის შესახებ. ესვე განაცხადეს ხმ. ელიავამ და სხვებმა. ხმ. თოფჩიანმა სთქვა, ვართანიანცმა შემოიტანა დადგენილება რაიონის კომიტეტისა, რომელიც სრულებით არ ეხებოდა ჩემ მიერ გაზეთში დაბეჭდილ ფაქტს ვართანიანცის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ და ამიტომ არ დავბეჭდე. მთავარი საკითხი—საყასბოს ცუდ ადგომარეობაა. ეს საკითხი უნდა კომისიას გადავცეთ, ხოლო ვართანიანცს! საჩივარი დღესვე შეგვიძლიან განვიხილოთ. ხმ. ხუნუნცმა სთქვა, სულ ნუ განვიხილავთ საჩივარს, რადგან ვართანიანცი უნდობლობას გვიცხადებსო. ამას ზოგი სხვა ხმოსანიც მიემხრო.

თვით ვართანიანცი წინააღმდეგი იყო კომისიაში საქმის გადაცემისა, რადგან მე წასვლას ვაპირებ და შეიძლება კომისიის წევრებზე გავლენა იქონიონო. მე ყველგან მდევნიან, არსად ადგილს ალარ მაძლევენ და ზარალი მაინც უნდა ამინაზღაუროთო. თუ კი ქურდებისთვის პენსია დაგინიშნავთ, მე რაღას მერჩითო.

კამამათმა 12 საათამდე გასტანა. საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა, მიიღოს ვართანიანცის საჩივარი და ახლო მომავალში განიხილოს იგი არსებითად.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

Ал. Вандаль. „Армяне и Турецкія Реформы". Переводъ съ французскаго М. Я. Алавердянца, Спб. 1907 г.

ეს მშვენიერი წიგნაკი შეიცავს იმ მოხსენებას, რომელიც წაუკითხავს კამოჩენილს ისტორიკოსს ნაპოლეონ პირველისას, წევრს საფრანგეთის აკადემიისას ადგილ ვანდალს პარიზის საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში. შესანიშნავს ისტორიკოსს სავსებითა აქვს დასურათებული მრავალ ტანჯულის სომხის ერის ეროვნ-მდგომარეობა ბარბაროს მთავრობის ხელში. საოცარის ხელოვნებით გვისატავს იმ კაიმგვრეულ „პოლიტიკას რეფორმისას", რომელსაც ადგა ოსმალეთის მთავრობა აბდულ-მეჯიდის შემდეგ (1839 წლის ფებრვარი გიულხანე) სულ ბოლოს სანამდის, როცა 1895 და 1896 წლებში მოხდა სასუნის ყლეტა სომხობისა, სტამბულის დარბაზის მეთაურთა წაქეზებითა და ხელმძღვანელობით. ოსმალეთი ურცხვად იგდებდა სასაციოდ ევროპის მთავრობებს და ნამდვილის აზიური ოსტატობით სარგებლობდა ევროპიელ სახელმწიფოთა კუშაძღრობითა და შურით. ოსმალეთის დესპოტს უსირცხვილოდ აქვს აბუჩად აგდებული 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის მე 61 მუხლი, რომლის ძალითაც ოსმალეთის მთავრობა ვალდებული იყო მოეხდინა იმ ბროვინციებში, საცა სომხები არიან დასახლებულნი, რეფორმეები. რეფორმების მაგიერ სულთანმა 150,000 სული სომეხი გაწყვეტინა—ევროპის სახელმწიფოთა იდუმალის მფარველობით.

თქმა არ უნდა, თუ ევროპის სახელმწიფოებს ოსმალეთის ინტერესები აწუხებდეთ, ადამიანობისა და კეთილშობილების მოყვალეობაზე რომ ადარა გთქვათ-რა, იმ კზსს მაინც დაადგებოდნენ, რომელიც რუსეთის წარმომადგენელმა კონდერმა გორჩაკოვმა უჩვენა ჯერ კიდევ 1857 წელს: თუ ოსმალეთის სხეულის დანით აქნა არა ენებავთ, იქ დასახლებულ ერებს თავის თავის მართვა-გამგეობის უფლება მაინც მიანიჭეთო. ეს აზრი კონდერმა დიდად შესანიშნავის დიდებითა გამოხატა: „ანავტონომია ან ანატომიაო". შაგრამ ევროპის სახელმწიფოებმა არჩიეს კეკმალდულობის თამაში, რომელიც ვანდალი ამბობს. არჩიეს ამ დამპალ სხეულის იმავე მდგომარეობაში დატოვება. სხეულს ანტონის ტეტხლი აქვს მოდებული და სახელმწიფოები სტდიდობენ ეს ტეტხლი არ გაჭრეს, თანაც სიკვდილსაც არ ანებებენ, არც ჩვენთვის, არც თავიანთთვისო, ბრძანებენ დღეგანდელ ევროპის სახელმწიფოთა ხელმძღვანელნი, რომელთაც რადაც გაუგებარი პირუტყვული ინტერესები ამოქმედებთ და ეოვლდთვის ხელს ათრევენ. ბარბაროს მთავრობას; ნუ თუ ვერა ჭვრძობენ, რომ ამ ბარბაროსობის უმთავრესი მიზეზი თვით არიან. მაგრამ ამას რას დაიდეგენ. უთუოდ სჯირიათ ევროპის მმართველთ საშიშ ადგილად იეოდიონ, ერთის მხრით, ოსმალეთი და, მეორეს მხრით, რუსეთი და თუ ვინმე უკმაყოფილებას გამოსთქვამს, მიუთითონ ადმოსავლეთსა და დასავლეთზე და შეადარებით თვალები დაუბრმავონ.

ვანდალი ფრანგთა ჭეშმარიტ კრძნობას მიმართავს, XVIII საუკუნის რევოლიუციის შემქმნელ ფრანგთა მოვალეობადა ხდის ეკვდა ტანჯულ და დაჩაგრულ ერის მეტოქეობის ეს სიტყვები იმ დროს იყო ნათქვამი, როცა რუსეთის მოძრაობაზედ თვით უდიდესი ოცნების მექონეც ვერაფერს წარმოიდგენდა (1897). აბა დღეს დაუკვირდეს რა ჭქნა იმავე საფრანგეთმა. ის კიმეორა, რაც ევროპის მეფეებმა საფრანგეთის წინააღმდეგ მოიმქმედეს რევოლიუციის დროს იმ განსხვავებით, რომ თუმცა ჯარი არ მიუშვეფებია რუსეთის დესპოტიისთვის, მაგრამ, სამაგიეროდ ფული მისცა—ჯარი მაინც არ ეჭირვებოდა მთავრობას, უიარადო ხალხს ისედაც მოერეოდა.

ეოველ შემთხვევაში ვანდალის წიგნი ისეა დაწერილი, როგორც მხოლოდ ფრანგ მეცნიერს შეუძლიან დასწერის: კატეგორიით, მარტივად, მაღალის აზრების ადმძვრელის ენით. ამნაირად ეს წიგნი ფრიად საინტერესოა,

ჩვენთვის მეორეს მხრითაც არის საინტერესო ეს წიგნი. კარგად გვაჩვენებს, რა დიდი განსხვავებაა იმ სომეხ და ქართველ ინტელიგენტთა შორის, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზების გამო სამშობლოს გარეშე ცხოვრობენ, იქ, სადაც ბ-ნი ანავერდიანცია, მრავალი ქართველი ინტელიგენტია, მაგრამ მათ საქართველო აინტერესებთ, როგორც თავისებური სპორტი, ანა და უარეოფითა და დაცინვით ეპერობიან და ამით იმართლებენ თავის გულგრილობასა და სულის სიცივეს. ბ-ნი ანავერდიანცი კი სულითა და გულით თავისის ერის ინტერესებითა სცხოვრობს, მუდამ ეამს ამაზედ ფიქრობს და ეოველ გვარ დონესა ხმარობს რაშენაირი დახმარება ადმოუჩინოს სიტყვით იქმნება ეს თუ საქმით. მე ბირადად მქონდა შემთხვევა შეშფოთებისა ბ-ნ ანავერდიანცი ქართველ ინტელიგენტებისთვის... და, სამწუხაროდ, ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ ბ-ნ ანავერდიანცს არა თუ სომხის ერის, ჩვენის ერის ამბებიც უფრო არსებითად აინტერესებს, ვიდრე ბევრ ჩვენ ინტელიგენტს, რომელიც მაზედ თუ უკეთესს, თორემ უარეს მდგომარეობაში არ არიან.

გ. ბ.

სასამართლო

საქმე პოლიტიკურ გადასახლებულისა

(წერილი არხანგელსკიდან).

8 ოქტომბერს არხანგელსკის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე პოლიტიკურ გადმოსახლებულის სოლომონ ივანეს ძის ადანაიასი, რომელსაც ჰბრალდებოდა არხანგელსკის ქალთა გიმნაზიის უფროსის თავადის ასულის მიშეცკაიას მოკვლის განზრახვა.

საბრალმდებლო ოქმში საქმის ვითარება ასეა აღნიშნული:

21 დეკემბერს 1906 წელს ქალაქ არხანგელსკიდან ბეტერბურგს, უფროსის მიშეცკაიას ხელმძღვანელობით, მიემგზავრებოდა (ექსკურსიაზე) გიმნაზიის მოსწავლე ქალთა ჯგუფი. როცა მიშეცკაია ერთ მასწავლებელ ქალთან ერთად საღამოს 8 საათზე გამოვიდა ქუჩაში მარხილში ჩასაჯდომად და რკინის გზაზე წასასვლელად, ამ დროს უკანიდან მასთან მივიდა ვიღაც უცნობი კაცი (რომელიც, შებყრობის შემდეგ, აღმოჩნდა პოლიტიკური გადმოსახლებული ს. ი. ადანაია) და ზედიზედ მიშეცკაიას ორჯელ ესროლა რევოლვერი. პირველი ტყვია მოხვდა თავში, მეორე მარცხენა მხარში. ამის შემდეგ ადანაია გაიქცა მსკოვსკი პროსპექტისკენ. გიმნაზიის დარაჯი, რომელიც აცილებდა მიშეცკაიას, გამოუდგა ადანაიას და მალე დაეწია. მან სხვების დახმარებით შეიპყრო ადანაია. პირველ გაჩხრეკის დროს ადანაიას უნახეს დანა და წერილები. რევოლვერი, რომლიდანაც გაესროლა, ნახეს მიგდებული იქვე კუთხეში 16 საუენის მანძილზე გიმნაზიის კარებიდან. მეორედ გაჩხრეკის დროს, როცა ადანაიას ციხეში ჰგზავნიდნენ, ჯიბეში ამოაჩნდა ცარიელი გილზა იმ ნომრისა, რომრითაც იყო დატენილი რევოლვერი.

ჩვენების ჩამოართმევის დროს ადანაიამ თავი დამნაშავედ არ იცნო. სთქვა, მიშეცკაიას სულ არ ვიცნობდი, ქუჩაში ნაპოვნი რევოლვერი მე არ მეკუთვნის და ამისთანა უვარგის რევოლვერით არც ვისარგებლებდი, რომ მდომებოდა ვინმესი მოკვლა. 21 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მე საციგაოდან (катки) ჩემს ბინაზე მივდიოდი. როცა გიმნაზიას მივუახლოვდი, მომესმა სროლა, შეშეშინდა და გავიქეცი. წინ მირბოდა ვიღაც კაცი, რომელიც უცბად მოტრიალდა, დამიჭირა და გააბა ყვირილი—დავიჭირე მკვლელიო. ის კაცი, რომელმაც დამიჭირა, მერე აღარ მინახავსო.

ყველა ამის გამო ს. ი ადანიას (19 წლისაა) აბრალებდნენ იმას, რომ წინად—განზრახვით მოინდომა მიშეცკაიას მოკვლა, ესროლა ორჯელ, მაგრამ ვერ მოჰკლა და მხოლოდ დასჭრა.

ბრალდებულს იცავდა ვექილი გალეცკი.*) თავმჯდომარის შეკითხვაზე ადანაიამ სთქვა. რომ მე ზუგდიდის მაზრელი ვარ, ქუთაისის გუბერნიიდან, სადაც ჩემ მშობლებს აქვთ უმრავი ქონება, 19 წლისა ვარ და გადმოსახლებამდე ვწავლობდი სასულიერო სემინარიაშიო. როდესაც თავმჯდომარე შეეკითხა, სცნობს თუ არა თავს დამნაშავედო, ადანაიამ განაცხადა: თავს დამნაშავედ არა ვცნობ, სროლით რევოლვერი მე ვესროლე, მაგრამ არა იმ განზრახვით, რომ მომეკლა: როცა გიმნაზიის მახლობლად მივდიოდი, უცბად მომესმა მიშეცკაიას ხმა, ავენთე, ამოვიღე რევოლვერი და ორჯერ ვესროლეო.

თავმჯდომარე. რათ მოიქეცით ასე, შეეკითხა თავმჯდომარე.

ადანაია. მე, როგორც უკიდურეს პარტიის წევრს, დიდი ხანია მეჯავრება მიშეცკაია, როგორც „მონაქისტკა". ამას გარდა მან გალანძღა პოლიტიკური გადმოსახლებულები. მოსწავლე ქალთა სასარგებლოდ განზრახული იყო წარმოდგენა. მე მივედი მიშეცკაიასთან, რომ გამეგო, მისცემს თუ არა იგი რამდენსამე გადმოსახლებულს უსასყიდლო ბილეთს. მომიგო, ფულითაც რომ იყიდონ, ბილეთს არ მივცემთ, უმალ მივიწვევ მეეტლეებს და მეჩექმეებს, ვიდრე პოლიტიკურ გადმოსახლებულებსაო. ამან გადმოსახლებულნი აგვაღელვა, მაგრამ არც ერთს მოკვლაზე არა უთქვამს რა. მეც წინად განზრახვა არა მქონდა.

თავმჯდომარე. რად გეჯავრებოდათ მიშეცკაია?

ადანაია. მე, საზოგადოდ, მეჯავრებიან დდევანდელი სახელმწიფო მმართველი პირები; ამ სროლით მინდოდა ცოტა რამ ვნება მიმეცა მათთვის.

რადგან ადანაია გამოტყდა, სასამართლომ საჭიროდ აღარა სცნო ყველა მოწმის დაკითხვა. დაადგინა, წაკითხულ იქმნას ჩვენება კნ. მიშეცკაიასი, უბნის ზედამხედველ ჩერბაჩოვისა და ჩვენება ჩამოერთვათ მიშეცკაიას მოწმეებს ედლინსკის, ვორობიოვას და ჟილინსკაიას. ჟორობიოვმა თქვა, რომ მიშეცკაიასთან 10 დეკემბერს მივიდნენ ბილეთისთვის გადმოსახლებულები, მაგრამ მიშეცკაიამ მათ უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ დარბაზში სივიწროვე იქნებაო. გადმოსახლებულნი ძლიერ აღელდნენ და მუქარის კილოთი აცხადებდნენ უკმაყოფილებას.

თავმჯდომარე.—მაგალითად, რას ამბობდნენ?

მოწმე.—მიშეცკაიას უწოდებდნენ „ხულიგანკა"-ს.

დამცველი.—გათავებული იყო ბილეთების გაყიდვა თუ არა მაშინ, როცა ქართველები მივიდნენ.

მოწმე.—არ ვიცი.

დამცველი.—გადმოსახლებულები არ აცხადებდნენ უკმაყოფილებას, რომ სხვას აძლევდნენ ბილეთებს და ამათ კი არაო?

მოწმე.—ა...რა.

ჟილინსკაიამ დამცველის შეკითხვაზე სთქვა, რომ გადმოსახლებულების მოსვლის შემდეგ კიდევ ვიჯექ და ვყიდდი ბილეთებსაო.

ედლინსკიმ ილაპარაკა: ადანაიას პირველ გაჩხრეკის დროს ცარიელი გილზი არ გვინახავს. ხშირად ვხედავდი ადანაიას მოსწავლე ახალგაზდათა შორის. სუფთა ტანისამოსი ეცვა.

პროკურორმა განაცხადა, რომ მან მუქარის წერილი მიიღო. პროკურორი შეეკითხა მოწმე ედლინსკის, თქვენ ხომ არ იცით, მოწმეებმა საქმის გარჩევამდის მიიღეს თუ არა მუქარის წერილები?

მოწმე.—არა, არ ვიცი.

წაიკითხეს მიშეცკაიას ჩვენება. იგი ამბობს, რომ პირდაპირი მტრები არა მყავდა, მაგრამ ამ ბოლო დროს გაჩნდა ჯგუფი უგიდურეს მემარცხენეებისა, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ ჩემის სამსახურის და მიმართულებისა. გაზეთ „სევერნი ლისტოკის" სამუალებით არა ერთხელ იყო ჩემი მოქმედება გაკიცხული. უკმაყოფილონი იქნებოდნენ გადმოსახლებულნიც, რომელთაც აუკრძალე "საღამოზე შემოსვლა. როცა უბნის ზედამხედველმა გადმომცა გადმოსახლებულების თხოვნა, მართლა ვთქვი, რომ უმალ შემოუშვებ მეეტლეებს და მეჩექმეებს, ვიდრე გადმოსახლებულებსაო.

თავის ჩვენებაში უბნის ზედამხედველმა ჩერბაჩოვმა დაწვრილებით აღნიშნა, რვა გადმოსახლებული ქართველი როგორ გამოცხადდა და როცა მან უთხრა, რომ უფროსის ბრძანებით, გადმოსახლებულთ არ უშვებენო, როგორ დაიწყეს ხმაურობაო. გადმოსახლებულთან ადანაია ყველაზე მეტს ხმაურობდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას შემოუხვევნენ ადგილობრივი მოსწავლენი.

პროკურორმა დაახლოვებით შემდეგი სთქვა: დანაშაულობა ჩადენილია მნახველების თვალწინ და დამნაშავე დაჭერილ იქმნა იქავე. თვითონ დამნაშავეც გამოტყდა. რა ჰქონდა ადანაიას საერთო მიშეცკაიასთან. მე უკვე ვთქვი, რომ მივიღე მუქარის წერილები. მემუქრებიან ქართველი მაქსიმალისტები. წერილი გამოგზავნილია 6 იანვარს, ორი ვვირის შემდეგ კნიაუნას დაჭრისა, რად იყვნენ ასე დიდხანს ხანს გაჩუმებულნი? ამის პასუხს ვნახავთ ადგილობრივ პრესის ფურცლებზე „გოლოს სევერა" და „სევერნი ლისტოკ"-ი ამ ამბავს ხიამოვნებით არ შეხვდნენ. «სევერნი ლისტოკი» 23 დეკემბერს სწერდა რომ დაცემა ქალზე, რომელიც პოლიტიკაზე შორსა სდგას, კარგი საქმე არ არისო. 29 დეკემბერს-კი სულ სხვასა ვკითხულობთ. ამ წერილში მოყვანილია ადანაიას ჩვენება. ისიც, ვითომ ადანაია იმყოფებოდეს ნესტიან კამერაში და, საზოგადოდ, არა ჰიგიენურ პირობებში. ამ წერილის შემდეგ მივიდე მუქარის წერილი. აი, უგულტურო ხალხი, რომელიც მიჩვეულია ყველაფერი ძალით დაამტკიცოს, როგორ ეუურებს საქმეს. თვითონ ადანაია მოვიდა არხანგელსკში სექტემბერს 1906 წ. და მაშინვე ჩავარდა ადგილობრივ ობოზიციონურ წრეში. ამ დროს ადგილობრივი პრესა გიმნაზიასა და მიშეცკაიაზე სწერდა და ავად იხსენიებდა. ყველა ეს ესმოდა ადანაიას. მას განსაკუთრებით მძიმედ ეჩვენებოდა რეაქციონური პოლიტიკა კნიაუნა მიშეცკაიასი, ადანაია დაახლოვებით იცნობდა აქაურ მოსწავლეებს. ცხადიბ, ყველა ამან საკმაო კვალი დასტოვა ადანაიას გულში, მით უმეტეს ადანაია ქართველია, იმ კუთხის შვილი, სადაც თავადი აზნაურზე მეტია, ხოლო აზნაური გლეხებზე მეტი, სადაც ძლიერ განვითარებულია თავმოყვარეობის გრძნობა.

ბრალდებულის დამცველმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია იმ შეურაცხყოფას, რომელიც მიაყენა მიშეცკაიამ გადმოსახლებულთ მოსწავლეთა საღამოზე. ადანაია ავნთო და, როგორც კავკასიელი, დაავიწყდა ყველაფერი. იმ შეურაცხყოფას, რომელიც მიაყენა კნიაუნამ გადმოსახლებულთ, არ ესაჭიროებოდა ქართველ აზნაურის თავმოყვარეობა, როგორც ფიქრობს პროკურორი: უბრალო არხანგელსკის მცხოვრებიც იგრძნობდა თავს გაბრაზებულადაო. სიტყვის ბოლოში გალეცკიმ სთხოვა მსაჯულთ, [illegible] ბრალდებულს.

სასამართლომ [illegible] წლით საპყრობილე, დირსების ჩამოერთმევლად.

ერ. ზეთიდი.

წერილი რედაქციის მიმართ

—:—

გაზეთ „ჩვენი გზის" მე-37 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ ლელოს კორრესპონდენცია ს. ნიგოითიდან. ავტორი სწერს გლეხების მდგომარეობაზე, ეხება მწერალ-მამასახლისს და ბოლოს, კორესპონდენციის შესავსებად აღარც აფთიაქსა სტოვებს უყურადღებოდ: „წამლებისა-ოიძვრე, სიძველე, უსუფთაობა"-ო, სწერს ახლად მოვლენილი კორესპონდენტი. ყოველივე ყოველივე რადგან ბ-ნ ლელოს წერილმა შეიძლება ზოგიერთები დააჯეროს, ამისათვის, როგორც მმართველს აფთიაქისას, საჭიროდ მიმაჩნია გავაქარწყლო მისი უთავბოლო შენიშვნები და რადგან წერილით სიმართლის აღდგენა შეუძლებელია, ვითხოვ ბ-ნმა ლელომ აიხადოს პირ-ბადე და გამომყვეს სამედიატორო სამართალში, სადაც უნდა დამიმტკიცოს ის სიტყვები, რომელსაც აქაურს აფთიაქზედ სწერს. წინაადმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები, ვუწოდო მას შესაფერისი, სახელი. მედიატორებად ჩემის მხრით ვნიშნავ ექიმ პ. გ. გიგინეიშვილს, პროვიზორის თანაშემწეს კობალაძეს და იოსებ აროშ.ძეს. გთხოვთ თქვენის მხრით დაასახელოთ მედიატორენი. ვადას ვაძლევთ ათს დღეს ამ წერილის დაბეჭდვიდან.

ალ. ზეიმე.

—

ამით ვაცხადებ, რომ იმ ორას მანეთის მიღებაზე, რომელიც, ქუთაისის დროებით გენერალ გუბერნატორის ბრძანების თანახმად, უნდა მოეცათ ჩემთვის სოფ. სხვავის (რაკის მაზრა) მცხოვრებთ, უარი განვ ცხადე, რის ჯეროვან საბუთსაც ვუდგენ რედაქციას.*)

თადეოზ ზაქარიას ძე ნეფარიძე.

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა საკენტორისაგან)

რ უ ს ე თ ი ს ი.

24 ოქტომბერი

ხარკოვი. სად. სინელნიკოვოზე მსწრაფელ მატარებელს ორთქლმავალს ებმენ. ორთქლმავალი მატარებელს ძლიერ დაეჯახა. დაიმსხვრა ერთი საბარგო ვაგონი და რამდენიმე სახალხოც დაზიანდა. ორთქლმავალიც დაზიანებულა. მიმოსვლა 4 საათით შეწყდა. 2 კონდუქტორი დაშავდა.

რეველი. ქარხანა „დვიგანელში" ხუთის ტუვიით დასჯეს ერთი შუა, რომელიც არ დაემორჩილა გაფიცულებს.

ეკატერინოსლავი. ქალაქში ხოლერით ავად გახდა ორი კაცი.

კურსკი. სუჯანის მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1, დარჩა 12.

სახალინი. საზღვრების დამნიშვნელი კომისია წავიდა. მარტში კომისია შეიკრიბება ვლადივოსტოკში ბეგების ხელ მოსაწერად.

დონის როსტოვი ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

ომსკი ორ დღეში ავად გახდა 1, გუბერნიაში ხუთი დღის განმავლობაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 6.

ნოვოჩერკასკი. ოდესში ავად გახდა სამი, გარდაიცვალა 1.

ტომსკი ბარნაულში ავად გახდა 1, ნოვონიკოლაევსკში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2.

ხერსონი. ავად გახდა 2.

გოლტა. 22 ოქტომბერს სადამოზე დუქანში ოთხი ტუვიით დასჯეს ადგილობრივ კარნიზონის ერთი კაზაკი.

ასხაბადი. ადგილობრივ ცხენოსანთა კომანდის ეზოში გადაგდეს უუმბარა. არავინ არ დაშავებულა.

ეკატერინოდარი. 22 ოქტომბერს მოავარ ქუჩაზე ორმა ბორბოტ კომბრაგელმა მოჭკლა მადაზიის კასირი, მძიმედ დასჯეს დარაჯი, რომელიც კასირს მიეშველა, შორე დარაჯი მოჭკლეს ქუჩაში.

პეტერბურგი. 23 ოქტომბერს შუადღეზე გაიხსნა სენატის კერძო საკრებულოს სხდომა, რომელსაც მინდობილი აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად ნამოფის კომერციის გურკოს საქმის გარჩევა. თავმჯდომარეობს კუზმინსკი, წევრებად არიან სენატორები: დავიდოვი, გრედინგერი, ფონ-კადიუგენი, ფონ-როზენი; წოდებათა წარმომადგენლები ვლადიმირის გუბერნიის მარშალი თავ. გალიცინი, ლუგისტირანი, პეტერბურგის ქალაქის მოურავი

*) „სევერნი ლისტოკის" რედაქტორად ნამყოფი.

*) ჩვენს რედაქციაში ინახება სხვავის მამასახლისის მოწმობა, რომლის ძალითაც ნეფარიძე უარს ამბობს სოფელზე გაწერილ ფულზე.

რედ.

რეზეოვი, პეტერბურგის მაზრის ერთ-ერთ სოფლის მამასახლისი ონიკინი მოწმედ და ბარებუდი ნიჟეგოროდის გუბერნატორად ნამეფოი ბარონი ფრედერიგსი არ გამოცხადდა, რადგან უწყება არ ჩაუბარებიოთ ბრალდებულმა თავის-თავი დამნაშავედ არ იცნო. არც უფლებაზე კადამიცილებია და არც სამსახურის აღსრულების დროს დაუდევრობა გამომიჩენია. მხოლოდ ერთი ფაქტიური შეცდომა მომივიდა 1906 წლის 6 ნოემბერს „ბრავიტელსტვენნი ვესტნიკში“ დაბეჭდილ განმარტებაში, სადაც გამტკიცებდი, რომ დიდვალმა ბირობა კეთილ სინდისიერად შასრულა მეთქი. სასამართლომ დადგინა ეკითხოს, როგორც მოწმეს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავისს სახლში და ფინანსთა მინისტრს 24 ოქტომბრის სხდომაზე სასამართლოს სხდომაში ბრალდა სდებს ბრაკურორი ფონ-კამპე, იცავს კაზარინოვი.

პავლოგრადი. 8 შეიარაღებული კაცი დაეცა კუფმანის საბანკო კონტორას, წაიღეს 14,830 მანეთი.

პალტავა. გუბერნიაში ხოდერისაგან გარდაიცვალა 1, ავად გახდა 2 კაცი.

ნიუნი ნოვგოროდი. გუბერნიაში ავად გახდა, 1 გარდაიცვალა 3 კაცი.

ტომსკი. ადმოაჩინეს ს.-რეგოლიუციონერების სტამბა და ბევრი არალეგალური დიტერატურა.

სადგ. კაინიგზე რეგოლვერით მოჭედეს ყანდარმთა ვაზმისტრი.

ბილით თეატრის ქუჩაზე მოჭედეს ხაერობა დარაჯი.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ბოკროვსკის თავმჯდომარეობით უნდა შესდგეს განსაკუთრებული კომისია. კომისიამ უნდა განიხილოს ხაკითხი იმ თანხის შემოსავლზე გადასახადს დწესების შესახებ, რომელსაც კერძო ბირები უძრავ ქონების გირაოზე სესხად აძლევენ ხოლმე

გზათა სამინისტრომ შეიმუშავა ბროექტი სამინისტროს ცენტრალური დაწესებულებათა რეორგანიზაციის შესახებ.

კიშინიოვი. ბენდერის მაზრაში 510 ოჯახი თემიდან გამოვიდა. მიუზომეს 7718 დესეტინა მამული.

პერმი. გერხეტეროვის მაზრაში ადმოაჩინეს სურმის მადანი.

ბალტა. მიწის მომწესრიგებელმა კომისიამ გადასწვიტა შეიძინოს საგლეხო ბანკის საშვალებით 3 მამული, ზომით 11,500 დესეტინა ადგილი.

ხერნიგოვი. სამხედრო სასამართლომ ორ კაცს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, ორს უვადო კატორგა. მათ ებრალებოდათ 6 აგვისტოს კანონტაბის მაზრაში ერთი გლეხის სახლ-კარზე თავ დასხმა.

ლოძი. შეიპყრეს 8 ტერროისტი.

ვარშავა. შეიპყრეს ბოდონეთის სოციალისტურ პარტიის წევრები.

კიევი. 22 ოქტომბერს კიევში ხოლერით ავად გახდა 17, გარდაიცვალა 10.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ.

პეტერბურგი, 24 ოქტომბრამდე აურჩევიათ სახ, სათ. 418 დეპუტატი. იმათგან 32 რუსთა კავშირის წევრი, 1 რუსთა განაპირა კავშირისა, 1 რუსთა კრებისა, 1 რუსთა კრებისა გარშავაში, 8 ბესარაბიის ცენტრისა, 88 ოქტომბრისტი, 7 ბალტიის კონსტიტუციონურ მონარქიულ პარტიისა, 4 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 35 კადეტი, 6 მაჰმადიანთა ფრაქციისა. 11 ს.-დემოკრატი 11 სოც რევოლიუციონერი, შრომის ჯგუფისა, 8 „ნოროდოვეცი“, 4 ბოდონელი, 1 დაზაკეკანი, 109 მემარჯვენე 1 უკიდურესი მემარჯვენე, 1 მონარქიულ კონსტიტუციონური პარტიისა, 40 მონარქიულ პარტიათა მომხრე, 2 კონსერვატორი, 1 ზომიერი კონსტიტუციონალისტი, 10 ზომიერი ბროგრესისტი 13 ბესარაბიის ბროგრესისტი, 17 უპარტიო ზომიერი, 8 მემარცხენე, 3 უკიდურესი მემარცხენე, 5 უპარტიო.

ლოძი. ხელ-ახლა არჩევნებში აირჩიეს რეტონდი, „ნოროდოვეცი“.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ.

24 ოქტომბერი.

ბერლინი 22 ოქტომბერს დრეზდენში დეპუტატთა ბალატამ გაარწია თავისუფალ მოაზრეთა წინადადება. თავისუფლად მოაზრენი თხოულობდენ: გაგვაგებინეთ, რა ზომებს მიდებას ფიქრობს საქონლის მთავრობა ბურის გაძვირების წინააღმდეგაო. ინტერპედიატორები თხოულობენ ბურზე ბრეშეის და ბაყის დროებით გაუქმებას. მინისტრმა გოგენტალმა განაცხადა, წინადადებას მხარს ვერ დაუჭერ, რადგან ნაკლები მოსავალი დროებითი მოგდენაა, გერმანიის სასოფლო მეურნეობას კი მუდმივი შემწეობა სჭირიაო.

ალლაგაბადი. ცუდი მოსავლის გამოკრ და ავდის ბროგინციებში მდგომარეობა სერიოზულია. გუბერნატორმა ბრძანება გასცა, შიმშილის წინააღმდეგ მიიღონ შესაფერი ზომები. ფიქრობენ 10 მილიონ რუბლის სესხად გაცემას გამოსაკვებ ბურის და სათესლეს შესაძენად განზრახვა აქვთ გადასახადის აკრეფა შეაწერონ. როგორც ეტყობა, შიმშილი საუოგადოთა იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ავალიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲫᲘᲓᲘᲡ

ბაქოს: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამავგზრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

ბათუმს: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3 წ.).

ბორჯომს: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ.

ბაქოდან: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ, (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ბორჯომიდან: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

მასწავლებელთა
ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗᲝᲗ!
ᲫᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲜᲘ

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.
ამ დედანთან სახმარებელი
რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.
„არითმეთიკული კრებული“
ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.
„მეორე ნაწ. კრებულისა“ (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე. (20—12)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

ᲡᲐᲫᲘᲠᲝᲚᲐ
თანამშრომელნი ორისავე სქესისა

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფულ-მქსოველ მანქანებზე. ბისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვუიდით. ბირობებს უფასოდ უგზავნით.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲕᲫᲐᲡ. ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ

მსწრაფულ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5. (100—71—75)

დაიბეჭდა და იყიდება

„ᲡᲐᲠᲙᲔ
ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ“

ბედგენილი მესხს კონსტანტინე გვარამაძის მიერ, ფასი 5 კაპ. ვინც 50 ც. იყიდის, 3—3 კაპ. დაეთმობა. ადრესი: „წერა-კითხვის საზოგადოების წიგ. მაღაზიაში“ ტფილისს, და ავტორთან, ახალციხეს, სადაც უმთავრესი საწყობია. (3—5—2)

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შნიცლერის თხზულება

ᲤᲔᲠᲮᲣᲚᲘ

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ციცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთი“-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი“-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—5.—6)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბავება კასეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლებანი ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
5. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . 3 მ
4. **«ხაბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იაშვილისა . . . . . 20 კ.
7. **«მასალების საქართველოს ისტორიისათვის»**, ... 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . 1 მ.
9. **«მოიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . 40 კ.
10. **«ფისარტელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტეიგის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . 1 მ. 35 კ.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲡᲢᲔᲑᲘᲡ
„ᲡᲞᲔᲠᲛᲐᲢᲘᲜᲘᲡ“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ-მუშაობით, თუ ჯანი გაგიტეხეთ, ან ვები დაისუატეთ ან ესა თუ ის სენი გეტირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით**: არია „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ, მას არ შეიძლება ეფიციამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სოფლიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ენერგიაა**, იგი **ძალის მომმატებელია**. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის გახმანადგურებელ დროთ-ეამთან. **«სპერმატინი“** შედგება **ბროუნ-სეკარის** შესახებ. ამ ეს ეს ... ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲡ: **ᲜᲘᲜᲘᲡᲬᲜᲐᲚᲔᲑᲝᲑᲐᲡ, ᲫᲐᲚᲘᲡ ᲜᲘᲜᲣᲡᲙᲔᲚᲘ ᲡᲘᲑᲔᲠᲔᲨᲘ, ᲛᲐᲠᲐᲮᲛᲘ, ᲓᲐᲣᲫᲚᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲘ ᲜᲘᲜᲯᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ, ᲛᲐᲛᲐᲙᲪᲘᲡ ᲜᲘᲣᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ**, ონანიზმის შედეგი და წითელ ქარა, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივრს, ჭლექს, ქარეს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ.

ბ. ი. გ. ახობაძეს. თქვენ ის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სასლის ნაკლულევანებით, უკანასკნელ წელიწადს ალერ დავსუსტდი და შევიქენი ხამეტანი ნეოვიანი. რაც დოქტორებ, უარესად ვხდებოდი და მაკლდებოდა სიცოცხლე. დავკარგე ძალა, ძალი და ენერგია. დამიწყო ფეხებიან და თავის ტკივილი. ამ ხუთის წლის განმავლობაში ვეებულოდა, სხვა და სხვა წამლებს, გამოწყოილა ხვა და ხვა ექიმებისაგან, მაგრამ, ამოდ ჩამიაოა ამ წამლობამ, რის გამოთაც შემომაკლდა წამლობის სახაარი და დავკარგე მორჩენის იმედი. ამის შემდეგ გავიგე, რომ ტფილისში იყოდება წამალი ეოველ გვარ ავადმყოფობისა „სპერმატინ“ ბატონ ახობაძესთან, წაოძიმადგენელს ძოაკოვის ლაბორატორიისა ივახოვის. მოსკოვის ეუნაზე მეოთხე ნომერში. ვიყიდე ეოთი ფლაკონი და ვიწყე მისი მიღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრა შემაუბუქება. ამის შემდეგ განვთავისუფლდი ყველა იმ ავადმყოფობის გან, რომლებიც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს და იმედი მაქვს, ოომ „სპერმატინი“ ძოძახიკებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულს უბედურებას თუ ოომ გადალარჩენს ექიმების **რეცეპტებს და ეიზაკებს**, ჩემთვის უაარგებლოს. პატივისცემით: **ვ. ნინაბაკანოვისა**, ტფილისი, 22 აგვისტო.

ბ. ი. გ. ახობაძეს. ტფილისში, მოსკოვის ქუჩა, № 4. მოწ. ხელმწ. ბ. გ. ახობაძე, წავიკითხე თქვენი გაცხადება გაზეთ „ჩვენ გზაში“, რომ თქვენ ლაბორატორიაში იყოდება „სპერმატინი“ ლაბორატორიის ივახოვისა, ოომელიც არჩენს სხვა და სხვა ავადმყოფობაა. ჩვენი ავადმყოფობა შემდეგი იყო: ორი წელიწადი ავადა ვარ ჭერვების აშლილობით, გულის ფრიალით, სიუატოთა და ძოძდიოდა ხშირად გულის წუხილი. ნამეტანი რეკატიზმებით, წელის ტკივილი, და ძვლების ტეხვა. როდესაც ეიყიდ ოთხი ფლაკონი თქვენი აპერმატინ“, სულ გავხთავიაუფლდი მოხაევებულს სატკივრებისაგან და ამ თქვენ წამლია ძიღებამდე ვიხმარე ბევრი წამლები, გამოწერილი ექიმებისაგან, მაგრამ არა მიმველა რა. კიდევ დიდს მადლობას გწერავთ, ბ. ი. ახობაძეო, და ვიქმები მუდმივ თქვენი მლოცველი ჩემია შვილიათვისა.

ადრესი ჩემი ქუთაისის გუბ. და მისი მაზრა სოფ. ვანი, **ივანე ბალანჩივაძე.**

ნოწ. ხ. **ბ. ი. ახობაძეს.** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენ მიერ გადმოცემულ „სპერმატინისათვის“, ლაბორატორიის ი. ნ. ივანოვისა. 2 წელ ედ ძეტ ვიტანჯებოდი ძ ის სისუსტით, გულის ფრიალით, ბველებით, ნერვების დაუძლეურებით, აგოეთვე ხელების კანკალით. როცა მივიღე მარკოზ კვარ.ცხელიისაგან ერთი ფლაკონი, უკედ გავხდი. მერე ვინხმარე ძაორე და მესამეც. ეხლა, ერთის სიტყვით, ... ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმეოთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივის მცემელი **ვიჩი ალფენნე.** სოფელ ოტომაიას მცხოურები, სოხუმ ს ოლქ ს და გალ ს ნ.წილისა. 12 ოქტომბერი, 1907 წ.

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლამდე ეოცელდებოდა ამ სახელით «სპერმინი“ ნ. ნ. ივანოვისა და ამ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის აიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მან. ნ. ივახოვისამ, დღეს-კი «სპერმატინმა» ი. ნ. ივანოვისამ დაიძახუოა აუარებელი სამადლობელო წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო ოუსეთში, პარიზში, ბოიუელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ეოთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-ძდე 65 კ. შუა აზიაში ოოჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—საძჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, ძხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესაბედი ფასისა.

წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე. ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.** (0—5.—2)

ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲕᲐᲒᲔᲑᲗ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲡᲘᲙᲐᲠᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲙᲐᲚᲝᲨᲔᲑᲘᲡᲐ

და სხვა რეზინის საქონლისათვის

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ
(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ᲜᲐᲠᲓᲐᲓ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲔᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ

სავაჭრო სახლში

ᲚᲔᲝᲢᲐᲠᲓᲘ ᲜᲔᲘᲛᲔᲚᲚᲔᲠ

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში

ᲐᲥᲕᲔ ᲜᲐᲠᲓᲐᲓ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ **ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—78)

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.